N 3
04/01/2021

3-01-3-202101041342

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის
პირველ მოადგილეს ბატონ ლევან მურვანიძეს

ამავე სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსის გიორგი მაზიაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის №699 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რაც განაპირობებს რიგ შეზღუდვებს, მათ შორის სახმელეთო სამგზავრო მიმოსვლასთან დაკავშირებით, კერძოდ, დადგენილების მე-2 მუხლის მე-7^1 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების მიხედვით 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით ჩერდება საქალაქთაშორისო მგზავრთა რეგულარული გადაყვანა M2 (ე. წ. მიკროავტობუსი) და M3 (ე.წ. ავტობუსი) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, ფოთის, თელავის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირება, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში ასევე მეტროპოლიტენის ფუნქციონირებაც.

იქიდან გამომდინარე, რომ დღეის მდგომარეობით შიდასაქალაქო და საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება კვლავ შეზღუდულია, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომელთა (რომლებიც შეზღუდვების დაწესებამდე გადაადგილდებოდნენ შიდასაქალაქო და საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტით) სააგენტოს ცენტრალურ ოფისში ტრანსპორტირების მიზნით საჭიროა საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომელთა ქ. რუსთავიდის და ქ. თბილისის სხვადასხვა ლოკაციებიდან - სააგენტოს ცენტრალურ ოფისში ტრანსპორტირების მიზნით, სატრანსპორტო საშუალების მძღოლთან ერთად დაქირავების მომსახურების 2021 წლის 4 იანვრიდან - 2021 წლის 15 იანვრის ჩათვლით შესყიდვის თაობაზე.

პატივისცემით,

გიორგი მაზიაშვილი

LEPL Land transport agency

Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2021.01.04 15:38:50 +04'00'